საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 33 (6409) 19 მარტი სამშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერშია:

* არჩევნების შესახებ დრად

* მივხედოთ ლეჩხუმს

* რეზონანსი, რეზონანსი

მე-2-მე-3 გვ.

კამპანიის ზემპი ძლიერდება

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების —საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნების საარჩევნო კამპანია ტემპს აძლიერებს. რესპუბლიკაში საკმაოდ რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებაა, რომ უკიდურესობამდე შემჭიდროებულია საარჩევნო კამპანიის ჩატარების ვადები.

—ნამდვილად მრავალად არის საკითხები, თანაც, უმრავლესობა მოითხოვს ოპერატიულ, ხშირად დაუყოვნებლივ გადაწყვეტას,— უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ არჩილ ჭირაქაძემ,—ახალი კანონის თანახმად ხომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების-საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნები პირველად ისევე როგორც ზარშან შემოდგომაზე გამართული მისი პარლამენტის არჩევნები, ეწყობა მრავალპარტიულ საფუძველზე. ჩვენი კომისიის მიერ რეგისტრირებული 28 პოლიტიკური პარტია გაერთიანდა ადგილებზე საარჩევნო ბლოკებში და პრაქტიკულად უკვე ჩაება წინასაარჩევნო ბრძოლაში, რომელიც ეტყობა, ძალზე მწვავე იქნება. საგულისხმოა, რომ ახალი კანონით ქალაქის (რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის, რაიონის, დაბისა და სოფლის საკრებულოებში დეპუტატების არჩევნები ეწყობა მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, ხოლო რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, ქალაქის ზონისა და რაიონის საკრებულოებში—შესაბამისად ქალაქის რაიონების საკრებულოების, ქალაქის ზონისა და რაიონის ქალაქის, დაბებისა და სოფლების საკრებულოების მიხედვით.

ბუნებრივია, რომ ეს არჩევნები, რომლებიც პრინციპულად ახალ საფუძველზე ეწყობა, ისევე როგორც ახლანდელი საარჩევნო უფლებაში, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ახლანდელი არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით სხვა საკითხებში, ახალ ამოცანებს უსახავს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. იგი ახორციელებს კონტროლს არჩევნების შესახებ კანონის გამოყენებისადმი და მოწოდებულია უზრუნველყოს მისი ერთნაირი გამოყენება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ეს საქმე კი, დაგვეთანხმებით, იოლი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს კომისიას გამუდმებით უხდება გააკონტროლოს არამარტო ტერიტორიული და საქალაქო საარჩევნო კომისიების მუშაობა, რომელთა რიცხვმა 71 შეადგინა, არამედ 983 ადგილობრივი საარჩევნო კომისიის მუშაობაც. იქონიოს მათთან რეგულარული კავშირი, გააანალიზოს საქმის

დასასრული მე-2 გვერდზე.

ერთობა ჩვენთვის ტახტია...

მარტია, გუდანაბადი აუკრავს ზამთარს და უკან იხევს. ისევ გულისტკივილი, ისევ არასასიამოვნო მოვლენები მოგვიტანა წლევანდელმა გაზაფხულმა. სამაჩაბლოა ჩვენი ყველაზე მტკივნეული, სისხლიანი წერტილი. მაგრამ გაზაფხული მაინც გაზაფხულია და მიწამ თავისი იცის. ჩვენს მაღალმთიან სოფლებში ისევ თოვლი დევს, მაგრამ გაზაფხულის პირველი მახარობლები —ყოჩივარდები და ენძელები სასამზეოზე გამოფენილან. ახალი სასიცოცხლო ძარღვი გაბა გაზაფხულმა ყველგან. თითქოს განახლებული სული შთაბერა, მშობლიური მიწის სიყვარული გაუძლიერა ადამიანებს, რომლებსაც აგერ რამდენი ხანია ლაღი სიცილი დაავიწყდათ, ან კი სასაცილოდ გვაქვს საქმე? დამოუკიდებლობას ვითხოვთ და ამ „ურჩობისთვის" ჩვენი მიწის დაგლეჯა-დანაწევრებას ლამობს იმპერია, ამიტომ ახლა, როგორც არასდროს ერთიანობა, ერთ მუშტად შეკვრა გვჭირდება.

შური!—ადამიანის მეობის დამანგრეველი თვისება, სადაც იგი ჭარბობს, გაუტანლობა ბრძანებლობს. მეტისმეტად ხომ არ დაკნინდა ჩვენი თვითშეგნება—არა, ღმერთმა ნუ ქნას. ერთმანეთის მტრობასა და შურს ღმერთი არ გვაპატიებს და ასე თუ გავაგრძელეთ, დამოუკიდებლობას მივალწევთ კი არა, დაღუპვის კარამდე მივალთ. ან კი რა გვაქვს გასაყოფი, ერთმანეთს მოვუსმინოთ, სალი და ჭეშმარიტი აზრის თანაზიარი გავხდეთ, ერთმანეთს გავუფრთხილდეთ, ერთმანეთის გადათელვაში ნუ შეეჯიბრებით, მივხვდეთ და განვასხვავოთ კარგი და ცუდი, წარსულის გადმონაშთით ნუ დავიბრმავებთ თვალებს, ერთობა და ერთიანობაა ჩვენი წინსვლის ლამპარი. დავფიქრდეთ რა უფრო ხელსაყრელია ჩვენი მიწისთვის, ჩვენი საერთო საქმისათვის. სხვადასხვა გაერთიანებებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ბრძოლა სავსებით მისაღები პროცესია, მაგრამ ამას საკუთარი, კერძო ინტერესები არ უნდა დაეჭვემდებაროს.

სავსებით სწორია გაზეთ „თბილისის" ერთ-ერთ პუბლიკაციაში გამოთქმული აზრი—თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო უკომპრომისო ბრძოლის გაუვლელად ვერ მიიღწევა. არა და ამ დროს გვინდა, ყველაზე მეტად გვჭირდება ისეთი კადრები, რომლებიც ნგრევის სპეციალისტები კი არ არიან, არამედ ძველი სისტემის ნანგრევებიდან ერის სიცოცხლის შემცველი ბლოკების შეკოწიწებას შეძლებენ და ერთიან სახლს დაამონტაჟებენ.

მაშ გავმთლიანდეთ, აზრი ერთმანეთს შევაჯეროთ, სადად შევხედოთ მოვლენებს, ამ გზით დავახვევინებთ უკან ყველის მხრიდან მოწოლილ მტერს.

გავიხსენოთ რა დროს ჩაგვძახა სულმნათმა აკაკიმ—ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელაო...

თესლი: მხოლოდ კონდიციური

გაზაფხულის თბილი, მზიანი ამინდები გვკარნახობს, რომ საქმეს მოვკიდოთ ხელი, მინდვრად გავიდეთ, წლის მოსავალს საიმედო საფუძველი შევუქმნათ, ბაღ-ენახი დროულად დავამუშაოთ, ყოველგვარი საფუძველი მოვამზადოთ იმისა, რომ საკუთარი ოჯახის დოვლათიც შევქმნათ და განსაცდელში ჩავარდნილი მოყვასის ხელის გაწვდენაც თავისუფლად შეეძლოთ.

კარგი მეურნე პირველ რიგში თესლის მომზადების თადარიგს იჭერს. მართალია, იგი ვაგლახად არაფერში შეცდება, მაგრამ რომ უფრო დაზღვეული ვიყოთ, ამ მიზნით გამოქვეყნდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე თესლეულისა და სარგავი მასალის რაიინსპექციის უფროსის ლ. ლიპარტელიანის წერილი. მან გულახდილად, დაუფარავად აღნიშნა, რომ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს, ყველასათვის გასაგები მიზეზით მარცვლეულის არც ერთი გრამი თესლეული არა აქვთ. რის გამოც, მოიჯარეებმა მეიჯარეებისგან აღებული მიწის ნაკვეთებზე თვითონვე უნდა გამოიყენონ საკუთარი თესლი, ამიტომ თვითეულმა მათგანმა თვითონვე უნდა მიიტანოს ინსპექციაში თესლეული შესამოწმებლად, სადაც მათ უანგაროდ მოემსახურებიან კვალიფიციური სპეციალისტები, უურად იღეს თუ არა მათ ეს გაფრთხილება?—ამ კითხვაზე თვით ლ. ლიპარტელიანმა გვიპასუხა, რომ ჯერჯერობით არავითარი თესლეული შესამოწმებლად ინსპექციაში არ წარმოუდგენიათ. შეუმოწმებელი თესლის გამოყენება კი მოსავლის ეპვის ქვეშ დაყენებას ნიშნავს, როცა ყოველგვარი საშუალებაა, რა ძალა გვადგას, საფრთხეს ნუ შევუქმნით წლის მოსავალს.

გაზაფხული ძალაში შედის. ნაზამთარი გულგამბალი მიწა ელის ხარისხიან თესლს. დრო კი არ ითმენს. საჭიროა თითოეულმა მოიჯარე ოჯახმა თავის ნაკვეთში სამყოფი თესლეული მიიტანოს ლაბორატორიული შემოწმებისათვის. თესლი უხვი მოსავლის დედაა, ტყუილად არ უთქვამთ. ამიტომ ნუ მოვეკიდებით გულგრილად ამ საქმეს.

გასწორება

ღასურიაშის საკრებულოს არჩევნების ადგილობრივი საარჩევნო კომისიის მიზეზით რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმის" მიმდინარე წლის 14 მარტის ნომრის მესამე გვერდზე გაპარულია შეცდომა. დეხვირის № 2 საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ ჯაჯუ პორფილეს ძე ჭაბუკიანის ნაცვლად უნდა იყოს მერი ბიქტორის ასული ასათიანი, ხოლო მდივნად მერი ვალენტინის ასული ასათიანის ნაცვლად აზა გრიგოლის ასული დავითულიანი.

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებიდან გვატყობინებენ

1991 წლის 27 თებერვალს ღამით სარაიონო კულტურის სახლში შესულმა ქურდებმა მოიპარეს ტელევიზორი და სხვა ნივთები. შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებმა შემთხვევის ადგილზე დააკვეს სევარიონ ოთარის ძე ბაკურაძე.

მიმდინარეობს გამოძიება.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნების და საქართველოს მოსახლეობის რეფერენდუმის წინ

კამპანიის ტემპი ძლიერდება

(დასასრული)

მდგომარეობა, ოპერატიული რეაგირება მოახდინოს წარმოშობილ პრობლემებზე: ეს არის ორგანიზაციული საკითხებიც, კამპანიის დაფინანსებაც, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს საჯაროობის უზრუნველყოფაც, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, არჩევნების შესახებ კანონის დებულებათა კომპეტენტური, იურიდიული ახსნა-განმარტებაც..

საქართველოს უზენაესი სობჭოს არჩევნების მაგალითით, რესპუბლიკის თითოეულ რეგიონს მიჩენილი ჰყავს კომისიის წევრები და მისი სამუშაო ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებსაც პირდაპირი კონტაქტები აქვთ ადგილობრივ კომისიებთან და სისტემატურად აცნობენ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომებზე გამოაქვთ პრობლემები, რომლებიც კომპეტენტურ გადაჭრას მოითხოვს. თითქმის ყოველდღიურად. ზოგჯერ კი დღეში ორჯერაც, ეწყობა ასეთი სხდომები, რომლებზეც განიხილავენ წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზაციასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ სულ სხვადასხვა საკითხებს. მაგალითად, მრავალი პრობლემის, გადაჭრა მოგვიხდა როგორც პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციის პროცესში, ისე ტერიტორიული და საქალაქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისას.

მაშ ასე, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების საარჩევნო კამპანიაში დგება გადამწყვეტი ფაზა, იმაზე, თუ რამდენად მტკიცედ და თანმიმდევრულად, არჩევნების შესახებ კანონის ზუსტი შესაბამისობით მოეწყობა იგი, ბევრად არის დამოკიდებული ამ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კამპანიის წარმატება.

ახალი სამრეწველო ბოტი „ბზიფი“ ახლახან შექმნილი სოხუმის ქართული სამეურნეობათშორისო გემთშემკეთებელი ქარხნისა და ინგლისური გემთმშენებელი ფირმა „ბრეი მიტჩელის“ ერთობლივი საწარმოს პირველი.

სამრეწველო ბოტი მცირეტონაჟიანი ხომალდია პოლონური წარმოების ძალური დასადგარით, იგი აღჭურვილია ჰიდრომოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციას. თანამედროვე რადიოსანავიგაციო მოწყობილობითა და საძიებო ტექნიკით აღჭურვილი ბოტი მსოფლიო ბაზარზე გაუწევს კონკურენციას მცირე თევზსაჭერ ხომალდებს.

სურათზე: ერთობლივი საწარმოს საკონსტრუქტორო ბიუროში. ბოტ „ბზიფის“ მთავარი მშენებელი გალინა ძიუბანოვა. მთავარი სპეციალისტი გიორგი ზაგბოპული და ქარხნის ერთ-ერთი საიჯარო უბნის საბჭოს თავმჯდომარე ჰარი ხალბადი.

გ. სოკოლოვის ფოტო.

(საქართველო—საკავშირო).

ამომრჩეველთა სიები

ახლოვდება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნების დღე. არჩევნების ორგანიზებულად მომზადება-ჩატარება უპირველესად ტერიტორიული, საოლქო და საუბნო კომისიების მოვალეობაა. ისინი მთელი დატვირთვით მუშაობენ, რადგან ესმით, რომ არჩევნებისათვის მზადებაში არ არსებობს წვრილმანი. ახლა მთელი უურადღება გადატანილია ამომრჩეველთა სიების შედგენაზე.

ამომრჩეველთა სია დგება ორცალად თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით და მას ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. სიის შედგენისათვის საარჩევნო კომისიას შეუძლია მიიწვიოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

რაიონის მმართველობის ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას და გადასცემენ საუბნო საარჩევნო კომისიებს მათ ქვემდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა შესახებ იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.

სიაში შეაქვთ ამომრჩეველთა სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი.

ამომრჩეველთა გვარები საარჩევნო სიებში შეაქვთ ხმის მიცემის მოწყობისათვის მოსახერხებელი წესით.

ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ შესაბამისი საკრებულოს ქვემდებარე ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები საქართველოს ყველა მოქალაქე, რომლებსაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღეს შეუსრულდა 18 წელი, სიის შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და აქვთ ხმის მიცემის უფლება.

ამომრჩეველი შეტანილი უნდა იქნეს ამომრჩეველთა მხოლოდ ერთ სიაში.

ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის გამოაქვთ არჩევნებამდე 15 დღით ადრე, ხოლო საარჩევნო უბნებში, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში — არჩევნებამდე ორი დღით ადრე.

საუბნო-საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანიდან 10 დღის ვადაში ამომრჩევლებს ურიგებენ ამომრჩევლის ბარათებს, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს ამომრჩევლის სახელი და გვარი, ამომრჩეველთა სიაში რიგითი ნომერი, საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი.

მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა გაეცნონ ამომრჩეველთა სიას და შეამოწმონ მისი შედგენის სისწორე საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში.

ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა გაასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში შეუტანლობა, არასწორად შეტანა ან სიიდან ამოღება, აგრეთვე სიაში დაშვებული სხვა უზუსტობანი, სიაში უზუსტობის შესახებ განცხადებას განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს ორი დღისა, ხოლო არჩევნების დღეს და წინა დღეს — დაუყოვნებლივ გადაწყვიტოს ადგილზე. შეიტანოს საჩივრი შესწორებების სიაში — განმცხადებლისა მისცეს მისი განცხადების უარყოფის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პირი. ეს გადაწყვეტილება შეიძლება არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა გასაჩივრდეს რაიონის სასამართლოში, რომელიც მოვალეა სამი დღის ვადაში განიხილოს საჩივარი. რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ამომრჩეველთა სიაში შესწორება დაუყოვნებლივ შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიას.

ამომრჩეველთა სიაში შეტანილი ცვლილებების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო კომისიას.

თუ ამომრჩეველმა ერთი და იმავე საკრებულოს ქვემდებარე ტერიტორიის ფარგლებში ადგილსამყოფელი შეიცვალა ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანიდან ხმის მიცემის დაწყებამდე, საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით და წარდგენილი პასპორტის ან მისი პიროვნების დამადასტურებელი სხვა საბუთის საფუძველზე ამომრჩეველს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას. ამასთან ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ შესაბამისი აღნიშვნა. მოწმობის მიღებას ამომრჩეველი თავისი ხელმოწერით ადასტურებს.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი შეაქვთ დამატებით სიაში საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

ვეტერანთა გაზეთი

საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან გამოსვლას იწყებს ყოველკვირეული გაზეთი „ვეტერანი“, რომელიც ფართოდ და ღრმად გაშუქებს ომისა და შრომის ვეტერანთა ორგანიზაციების საქმიანობას, ვეტერანთა ცხოვრების ამსახველ მასალებს.

გაზეთის ღირებულებაა ერთი თვით 1 მანეთი და 20 კაპიკი, 3 თვით—3 მანეთი და 60 კაპიკი, 6 თვით—7 მანეთი და 20 კაპიკი, წლით—14 მანეთი და 40 კაპიკი.

გაზეთი შინაარსობრივად საინტერესო იქნება, გარეგნულად მდიდრულად იქნება გაფორმებული.

გთხოვთ ომისა და შრომის ვეტერანებს, ყველა მშრომელს გამოიწეროთ გაზეთი. დარწმუნებული ვართ კმაყოფილი დარჩებით.

გაზეთის გამოწერა წარმოებს საფოსტო განყოფილებებში.

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო.

დამოუკიდებელი საქართველოს

ეკონომიკა

მ ი ვ ხ ე დ ღ ო თ

ისტორიულად ლეჩხუმლები მკვიდრი, გამრჯე და მუყაითი მიწათმოქმედნი არიან. მაგრამ ფაქტია, რომ 50-იანი წლებიდან სასოფლო-სამეურნეო კულტურების ენდემური ჯიშის ხეხილის, პურეულის, განსაკუთრებით ზანდურის, ქერის მოყვანის წესი, ვენახის მოვლა-პატრონობის ტრადიციები დავიწყებისაკენ მიდის. რაიონის სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის ნაცვლად, სავარგულები გაპარტახდა, პურის, ზანდურის, ქერის მოყვარის წესი, როგორც დამრეცი ნიადაგის ეროზიისაგან დაცვისა და მისი ბუნებრივი განაყოფიერების აუცილებელი საშუალება, წლის გამოშვებით სიმინდს რომ ენაცვლებოდა, მოშალეს. როგორც კი რაიონში ცენტრალიზებული წესით პურის ფქვილი შემოიტანეს, კოლმეურნეობებმა მაშინვე თავი დაანებეს პურეულის თესვა-მოყვანას და გადავიდნენ მხოლოდ სიმინდის წარმოებაზე, შედეგიც სახეზეა. ეროზიამ მოიცვა დამრეცი ნიადაგი. სავარგულები გავერანდა, შედეგად შრომის ნაყოფიერება და მოსავლიანობა ერთდროულად დაქვეითდა, სამაგიეროდ, გამრავლდნენ კონტროლიორები, რომლებიც გულდასმით აკონტროლებდნენ საკარმიდამო მიწის ფართობს, ძროხის, მისი ნამატის, ღორის, თხის, ცხვრის რაოდენობას, ერთი ზედმეტი სულიც კი კანონის უხეშ დარღვევად ითვლებოდა. გამწევი ცოცხალი ძალა კოლმეურნეობის განკარგულებაში მოექცა. როცა ტრაქტორები შემოვიდა, კოლმეურნეობებმა გამწევ ცოცხალ ძალაზე ხელი აიღეს, გლეხობას მისი ყოლის უფლება ეკრძალებოდა. ტრაქტორით კი მხოლოდ ვაკე და გაშლილი ადგილების ათვისება ხერხდება, დამრეცი ნიადაგი ჩამოირეცხა და გაუამირდა, მწყობრიდან გამოვიდა. გლეხის საკარმიდამოსათვის ეს ვეებერთელა ტრაქტორი გამოუსადეგარი შეიქმნა, ამასთან მოსაელის შინ მიტანაც პრობლემად იქცა.

სოფლის ხელმძღვანელები საბაბად მცირე მიწიანობას იშველიებდნენ და პრობლემად გადაიქცეს ოჯახების გაყოფა. შემცირდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ნორმა, იგი 0,75-დან 0,5 ჰექტარზე ჩამოიყვანეს, შემდეგ ოჯახის გაყოფა ოჯახის კუთვნილი ნაკვეთის ხარჯზე დაიწყეს და ახე თანდათან შემცირდა საკარმიდამო მიწები, ხოლო მიწის ხარისხიანობას საერთოდ უურადღება არ ეცეოდა. ლეჩხუმლებს ძირითადად 0,3 ან 0,25 ჰექტარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი აქვთ გამოყოფილი, აქედან მოწეული მოსავლით მინიმალურად ვერ იკმაყოფილებს მოთხოვნილებას, საკოლმეურნეოდან უმნიშვნელო შემოსავალია. ამიტომ არის, რომ ახალგაზრდობა საგან თითქმის დაცლილია ლეჩხუმი. ხანდაზმულთა ერთადერთი საგარანტიო სახსარი პენსიადა დარჩა.

რაიონის ხელმძღვანელობა დაწინაურებისათვის ყოველმხრივ ცდილობდა სინამდვილის შეფერადებას. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — დღეს რაიონის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების დონე სავალალო მდგომარეობაშია, ვერაფრით დაეხმარა მას ბოლო წლებში, ყოველ გაზაფხულზე სამდღიანი ცეკვა-თამაშით გამართული ცაგერობა, ვერც მწვანე თეატრის მოწყობა და სამხატვრო გალერეა. ავანსად ნათქვამი დარჩა გზების კეთილმოწყობის, სოფლად ბაგა-ბაღის აშენების, ადრე არსებული საავადმყოფოების აღდგენის, სოფლად კვირაში 2-3 დღე ექიმის შეთავსებით მუშაობის მავნე პრაქტიკის აღმოფხვრის, ორსულ ქალთა აღრიცხვისა და მეთვალყურეობის დაწესების და არც თუ იშვიათად სამშობიაროდ რაიონის საავადმყოფოში გადაყვანისას დანგრეულ გზებზე მიმავალ მანქანებში მშობიარობის და სხვა მრავალი უხერხულობის თავიდან აცილების დაპირებები. თითქმის არც ერთი სოფლის გზა არ არის ხეირიანად გაკეთებული.

გლეხობა უკმაყოფილოა ხილის დამზადების არსებული პრაქტიკით, ადრე ვიღრე გეგმა არ შესრულდებოდა, ხერგილები გზას

რეზონანსი

„გვინდა მკითხველმაც იცოდეს“

საქართველო რომ ელექტროენერგიის დეფიციტს განიცდის, ეს ახალი არ არის, მაგრამ წელს რომ ზამთრის სეზონზე გამოიკვეთა ელექტროენერგიის უკმარისობა, ასეთი რამ არც ყოფილა და განგაშიც არ ატეხილა. ამის მაგალითია, რომ რესპუბლიკის ნაწილი სამრეწველო ობიექტები დროებით გაჩერდა, შეიზღუდა მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგება, რამაც აღშფოთება და უკმაყოფილება გამოიწვია. ამას დაემატა ისიც, რომ ზოგიერთი საწარმო და საზოგადოებრივი ობიექტი ნედლეულის, მასალებისა და დანადგარ-მოწყობილობების უქონლობისა და გაუმართაობის გამო გაჩერებულია, მიზეზად მაინც ელენერგიის დეფიციტს ასახელებენ.

როდესაც ასეთი სიტუაციაა, ადამიანებს მართალი სიტყვა, სწორი ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ, თუ რამ გამოიწვია ელექტროენერგიის დეფიციტი რესპუბლიკაში, დეფიციტის აღმოფხვრის რა გზები, რეზერვები და კონკრეტული გამოსავლის მონახვაა საჭირო.

რაოდენ დასანანია, რომ ამ დროს გაზეთში სპეციალისტი იძლევა პასუხს, რომელიც ეკვივალენტურ აუენებს მკითხველს—თითქოს ყველაფერი იმის ბრალია, რომ უწყლობის გამო გაჩერდა ჰიდროელექტროსადგურები, კერძოდ ლაჯანურჰესი და დეფიციტიც გაჩნდა. გვინდა მკითხველს შევახსენოთ გაზეთ „ლეჩხუმში“ ამა წლის 23 თებერვალს დაბეჭდილი სტატია სათაურით „მკითხველმაც გვინდა იცოდეს“, სადაც ლაპარაკია რაიონის ენერგიით მომარაგების პრობლემებსა და ამოცანებზე.

სტატიაში კითხვაზე „რა მდგომარეობაა ელექტროენერგიით რაიონის შემდგომ უზრუნველყოფაში, რა სიძნელეები და შეფერხებები, პრობლემებია სფეროში?—პასუხს სცემს ცაგერის ელქსელების მთავარი ინჟინერი გია მუმკუდიანი. მე მხოლოდ შევეხები პასუხის იმ ნაწილს, რომელიც ეხება ლაჯანურჰესს. „წყლის ნაკლებობის გამო ლაჯანურჰესის ტურბინები გაჩერდა, მხოლოდ ერთ ტურბინას ამოძრავებს ჩამონადენი მცირე წყალი, რაც იმდენ ელექტროენერგიას იძლევა რომ საერთო სისტემაში ჩართვა არ ღირს, ნებისმიერი ქალაქის ერთ უბანსაც არ ეყოფა, ამიტომ ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო ასე, რომ დაგვმართოდა, ისევ ჩვენს რაიონს ვახმართ ელექტროენერგიას ჯერჯერობით, როგორც წყლის დონე მოიმატებს, სიმძლავრეც მეტი იქნება, მომსახურების მოცულობაც გაიზრდება, მაშინ, რა თქმა უნდა, გამორთვებიც იქნება“. კითხვის ეს პასუხი საქმეში ჩაუხედავ კაცს დააკმაყოფილებს, მაგრამ ვისაც ესმის ლაჯანურჰესის ტურბინების და თვით სადგურის მუშაობის პრინციპი, ალბათ ღიმილს მოგვრის. ყველასათვის ცნობილი და გასაგები უნდა იყოს, რომ ლაჯანურჰესის აგრეგატები არ გაჩერებულა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აგრეგატ №1-ს, რომელიც გეგმიურ კაპიტალურ შეკეთებაშია 15 იანვრიდან, ხოლო ორი მუშაობს როგორც მინიმალური, ისე მაქსიმალური დატვირთვით სადისპეტჩერო სამსახურის გრაფიკით.

მკითხველისათვის ისიც უნდა იყოს ცნობილი, რომ ჰესის ტურბინები ჩამონადენ წყალზე არ მუშაობენ და არც შეიძლება იმუშაონ. რამდენიც არ უნდა იყოს წყლის ხარჯი, ბევრი თუ ცოტა (რომელიც ყოველი ზამთრის სეზონისათვის გარდაუვალია), თუ არ შეიქმნა შესაბამისი წყლის დონე (წნევა). ლაჯანურჰესი მარეგულირებელი სადგურია და რა გინდ ცოტაც არ უნდა იყოს წყლის ხარჯი, მისი საკმაოდ დიდი წყალსაცავის წყალობით წყალი გროვდება მასში (რამდენიმე მილიონი კუბური მეტრი), იქმნება წყლის დიდი აკუმულატორი და საჭიროების შემთხვევაში ერთ აგრეგატს კი არა, სამივე აგრეგატს ვაერთებთ და ასი ათასობით კილოვატ ელექტროენერგიას ვაწვდით ენერგოსისტემას, განსაკუთრებით როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პიკის საათებში, რომელიც ეყოფა ნებისმიერი ქალაქის ერთ უბანს კი არა, რამდენიმე ათეულ ცაგერის, ლენტეხისთანა რაიონებს თავისი სოფლებითა და დაბებით ერთად აღებულს. რაც შეეხება იმას, რომ ლაჯანურჰესი საერთო სისტემაში არ არის ჩართული და იგი მარტო ცაგერის რაიონს ემსახურება, სინამდვილეს არ შეეფერება.

ასე რომ, ბატონო გია, თქვენი კომპეტენცია ლაჯანურჰესის მიმართ არ ; ქმარა. არ დაგავიწყდეთ, რომ საქენერგოს ხელმძღვანელობამ ჩვენს ჰესს გაჭირვების ტალკვესი უწოდა თავის დროზე და უფრო უკეთესი იქნებოდა გეთქვათ, რომ „ისე არ დაილევა სახნისი, რომ არ გამოვიდეს სადგისი“. ამის ნათელი დასტურია ის ფაქტი, რომ ისეთი წყალმცირობის დროს როგორიც არის დეკემბერი, იანვარი და თებერვალი, ლაჯანურჰესის აგრეგატებმა გამომუშავეს და სისტემას მიაწოდეს დეკემბერში 22 მილიონ 400 ათასი, იანვარში 10 მილიონ 332 ათასი, თებერვალში 11 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ე. ი. სამ თვეში—43 მილიონ 732 ათასი კილოვატსაათი.

აი, რა უნდა იცოდეს მკითხველმა ლაჯანურჰესის მისამართით.

ო. ჩაჩხიანი,
ლაჯანურჰესის ჰიდრომექანიკური უბნის ოსტატი.

რედაქციისაგან: ჩვენ ბოდიშს ვუხდით მკითხველს დეზინფორმაციისათვის. მაგრამ გვინდა ერთი იცოდეს ყველამ—რედაქცია კომპეტენტური არ არის და ვერც იქნება ყველა სფეროში. ამიტომ მომავალში მაინც უპრიანი იქნება—როცა გაზეთი დაინტერესებულია მკითხველს მისცეს სწორი ინფორმაცია მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე, პრობლემებზე, ნებისმიერ საკითხზე, მეტი კომპეტენტურობა და სიფრთხილე მართებთ სპეციალისტებს, რომ არც მკითხველი შეიყვანონ შეცდომაში და არც ჩვენ.

რეზონანსი

„ახლა მაინც აღდგეს სამართალი“

მიმდინარე წლის 7 მარტს გაზეთ „ლეჩხუმში“ დაიბეჭდა წერილი, სადაც ჩვენი სოფლის მკვიდრნი მოითხოვდნენ ქვედა ცაგერის საბჭოდან სოფელ ჩხუტელს ცალკე საბჭოდ გამოყოფას.

ეს საკითხი წლების მანძილზე იდგა დღის წესრიგში, ქაღალდზეც „გულდასმით ჩაინიშნებოდა“, თუმცა, ბოლოს გადაჭრით დაგვპირდნენ—ახლა კი აუცილებლად გადაწყდება, საქმე დასამტკიცებლადაა გაგზავნილიო.

ახლა, როცა სიტუაცია მთელ რესპუბლიკაში დაძაბულია, მიმდინარეობს მზადება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნებისთვის, ვუერთდებით თანასოფელთა მოთხოვნებს, რომელიც აქამდეც არა ერთხელ გამოგვითქვამს, მაგრამ ამაოდ.

ბოლოსდაბოლოს მოგვარდეს ეს საქმე, ყურადღება მიექცეს ხალხის გულისთქმას. გვეღირსოს, რომ გვექნეს ჩვენი შინაოჯახური გარემო, სადაც ყველა მტკივნეული საკითხი დაუფარავად გამოითქმება, გულიანად მოისმინება, გეგმაზომიერად და ჭკვანნერად გადაიჭრება.

ყველასთვის კარგად ცნობილია ის უამრავი სახრუნვი, რაც ახლა სოფლადაა მოზღვავებული და განა ამის თქმა შეუძლია გინმეს, რომ ამდენ საქმეს (ბოლოსთვის წვრილმანს, ჩვენთვის კი ჰაერივით საჭიროს და აუცილებელს) წყალგაღმიდან მიწვდება?

იქნება მმართველობის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო საკრებულო, სადაც ჩვენს ხალხს სიმუალება ექნება არჩევანი შეაჩეროს და ნდობის მანდატი ჩააბაროს ღირსეულს, სოფლის ნამდვილ გულშემატკივარს, ჩვენ კი, ჩვენი პატიოსანი ერთგული შრომით ყოველთვის ვიქნებით მის გვერდით, სრულად საქართველოს გვერდით.

სოფელ ჩხუტელის კლდისძირის უბნის მცხოვრებნი:

ი. მურცხვალაძე,
ა. მურცხვალაძე,
ა. კვირკაშვილი,
ე. მურცხვალაძე,

(სულ 15 ხელმოწერა)

ოსვაჯი

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ტელევიზორების შესაკეთებელი განყოფილება გაიხსნა ამ განყოფილებაში უკვე 21 წელია მუშაობს იგორან მოწონელიძე, რომლის მიერ შეკეთებული ყველა ტელევიზორი ხარისხიანია.

ჩვენი რაიონის მშრომელებს, ვისაც არ უნდა შეეკითხო, მის ხელობას ყველა მადლიერებით მოიხსენებს. ეს ნიჭიერი, შრომის მოყვარე სპეციალისტი გულმოდგინებით ეძებს დაზიანების მიზეზს, გონიერად „მკურნალობს“, გულისხმიერებით ეკიდება მომხმარებლის მოთხოვნებს.

მეც იმ მომხმარებელთა რიცხვში ვარ, რომელიც ყოველთვის მადლიერებით მოიხსენიებს მის ოსტატობას.

ვისურვებდით კვლავ ბევრი სამადლობელი სიტყვა გაგვეგონოს იგორან მოწონელიძის მისამართით.

ვალერიან ჯამბურიძე,
შრომისა და ომის ვეტერანი,
სოფ. მახაში.

ლეჩხუმს

უკეთავდნენ, რომ გლეხს ხილი ქალაქში არ გაეტანა. ახლა, იმის გამო, რომ მოუწესრიგებელია შესყიდვის ორგანიზაცია, წლის მოსავალი გლეხს უფუჭდება. ვინ უნდა დაადგას ამ საქმეს თავი?

ლეჩხუმში დაყოვნებით გადადიან გლეხურ მეურნეობაზე, სოფლის ბიუროკრატია დარწმუნდა, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყავლი გასდით, დაერივნენ საზოგადოებრივი შრომით შექმნილ შენობა-ნაგებობებს, შეძენილ მანქანებს და ყიდიან, ვინ მისცათ ამის უფლება და რას ხმარდება აღებული თანხები, ამას არავინ კითხულობს, არადა ასე წაურუებაც არ შეიძლება.

სოფლებში მრავალია გამოკეტილი სახლები. სოფელთან კავშირგაწყვეტილებად არიან მიჩნეული ისინი, ვინც თავის დროზე რუსთავის მეტალურგიულ და ქუთაისის საავტომობილო ქარხნებში გაიწვიეს სამუშაოდ, აგრეთვე პროფესიის მიხედვით სოფლად სამსახურით დაუკმაყოფილებლობის გამო ბევრი სხვა რაიონშია გამწესებული. მათ მხოლოდ 600 კვადრატული მეტრი მიწის შენარჩუნებისათვის დიდი ხვეწნა-მუდარა დასჭირდათ. ვინ ავა ცაგერის, ლენტეხის, ამბროლაურის, ონის და სხვა მთიან რაიონებში 600 კვადრატული მეტრი მიწისათვის. დროა უკუვაგდოთ მიწათსარგებლობაში შემოღებული მიუღებელი კანონმდებლობა და აღდგეს მამამაპეულ მიწაზე მემკვიდრის კანონიერი უფლება.

რამდენიმე წლის წინათ რაიონში ჩამოყალიბდა უსახელოურის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც უნდა აეღორძინებინა მსოფლიოში უნიკალური უსახელოურის ჯიშის ვაზი. შესაბამისმა სათაო სამსახურმა დიდძალი თანხა გამოყო, მაგრამ მეურნეობას ამ დიდი მნიშვნელობის დავალებისათვის არაფერი გაუკეთებია და ახლა გალატაკებული მეურნეობა სულს ღაფავს. დროა ვიფიქროთ ისეთი პარტნიორის მონახვაზე, რომელიც ჭეროვნად დააფასებს და შეაფასებს ამ ვაზის ღირსებას და მისგან მიღებული ღვინის მსოფლიოში განუმეორებელ თვისებებს. ამჟამად გლეხურ მეურნეობაზე გადასულ მოსახლეობას, ხელსაყრელ პირობებში, მრავალ ათწლეულიანი ხელშეკრულებით შეიძლება ამ ვენახისათვის ვარგისი მიკროორგანიზმის ფართობების გარდა საკარმიდამოებიც გამოეყენებინა, შესაძლებელია უსახელოურის ვაზის გაშენებისათვის 2000-2500 ჰექტრამდე სავარგული გამოინახოს. ამ პერსპექტივას აქედანვე სჭირდება გზის გაკვლევა.

არსად, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, გარდა ბასკეთისა და ლეჩხუმისა, არ მოდის პურის ისეთი უნიკალური ჯიში, როგორიც ზანდურია, აქ იციან მისი მოვლა-აღებისა და დამუშავების ტექნოლოგია. მაგრამ მისი მოყვანა შეწყვეტილია. დროა ვიზრუნოთ ამ უნიკალური ჯიშის აღდგენისათვის, მისი რეალიზაციით მოსახლეობა დიდ მოგებას ნახავს. აქაური ჯიშის ღორისაგან, ლეჩხუმელთა ტექნოლოგიით დამზადებული ბაშხი, თავისი დელიკატესობით ნებისმიერ კონკურენტებს ჩამოიცილებს, რაც შეეხება ლაძგვერიის, ძულურის, ლაშიჭალის და ზუბის მინერალური წყლების სამკურნალო თვისებებს, შემცვლელი მოეძებნება? ვინ უნდა მიხედოს ამ სფეროებს? ესოდენ დიდი პოტენციური შესაძლებლობები კი გზის გაკვლევას მოითხოვს.

მოწყინდათ ლეჩხუმლებს მხოლოდ დაპირებები, ისინი პრაქტიკოსები არიან და ასეთივე პრაქტიკულ ნაბიჯებს მოითხოვენ, მითუმეტეს აქეთკენ მიგვანიშნებს ახალი სიო. დროა ვიზრუნოთ რაიონის ბუნებრივი რესურსების მოსახლეობის ინტერესების სამსახურში ჩაყენებისათვის. ასე, მაგალითად, ძლიერი ლაჯანურის ელექტროსადგური, რომელიც რაიონის ბუნებრივი რესურსებით არსებობს, უკვე მოგებაზეა. ამიტომ რა დაუშავდებათ, ლეჩხუმლებს ელექტროენერგია უფასოდ მიეცეს, ანდა რომელი ქალაქი ან ფირმა იტყვის უარს მდინარე რაჩხის ანკარა წყაროს გამოყენებაზე?

შიდა რეზერვებს ახლა მაინც სჭირდება გონივრული შეცნობა და გამოყენება. ლეჩხუმს კიდევ მოეძებნება სხვა შესაძლებლობები, მთავარია, მისი მიზნისის თვალით გადახედვაც.

კარგა ხანია მთაგორიან რაიონებში მოდებული მიგრაციის დამღუპველი პროცესის დაძლევა მოითხოვს საპირისპირო ეფექტიან ეკონომიკურ და კულტურულ ღონისძიებათა მეცნიერულ დონეზე მოწყობას. ამიტომ მთავრობის წინაშე საკითხი ამ მიზნით სპეციალური სამსახურის შექმნის აუცილებლობის შესახებ გადაუდებელია.

იაშა გიორგელიძე,
ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი.

გაზეთი „სოფლის ცხოვრება“

ბოლოსავსებ

ეკა, ეღისო, ფიქრია, ნაირა, გრიგოლ საღინაძეებს

გილოცავთ სოფიკოს ბედნიერებას. ღმერთმა დალოცვილი და ბედნიერი გიმყოფოთ, დღეგრძელობა და მრავალი სიხარული იყოს მისი ცხოვრების თანამგზავრი.

რაფიელ კოპალიანი ოჯახით.

ბიჭტორ აბელის ძე უგრეხელიძეს

გილოცავთ დაბადების 70 წლისთავს. დაესწარით მრავალს თქვენი ცოლ-შვილით.

გულო, როსტომ ახვლედიანები.

მამია დადაშის ძე გენიძეს

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ -ყოფილიყო თავისუფალი საქართველოს სასახელო შვილი. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

მამუკა, ნანი, თამაზ ჩიქოვანები.

გრიშა ვლადიმერის ძე ომანაძეს

გილოცავთ დაბადებიდან 70 წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ოჯახის წევრები ოსანა, მერაბი, ეთერი.

გუჯუ იროდის ძე ჭურაშვილს
მზიური გუჯუს ასულ ყურაშვილს

გილოცავთ დაბადების დღეს. დასწრებოდეთ მრავალს თქვენი ოჯახებით.

ნორა, ქეთინო, შალვა, ჯულული ყურაშვილები, ენძელა, ავთო მებურიშვილები.

ბიჭტორ აბელის ძე უგრეხელიძეს

გილოცავთ დაბადებიდან 70 წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

გრიშა მურცხვალაძე, გივი შკუბულიანი ოჯახებით.

ბიჭტორ აბელის ძე უგრეხელიძეს

გილოცავთ დაბადებიდან 70 წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ლავრენტი, მერაბ, მირიან გოგებაშვილები იგორ ქარსელაძე ოჯახებით.

მარო, გრიგოლ, ნაირა საღინაძეებს, ფეფენა ფუტკარაძეს

გილოცავთ შვილიშვილისა და შვილის ბედნიერებას. ფუძეძლიერი ქართული ოჯახი ჰქონოდეთ და ერისთვის სასახელო შვილები აღეზარდოთ.

მზია სვინტრაძე, თამარ, შოთა, შამილ კოპალიანები.

ღენა, ოთარ ჰაგუკიანებს

გილოცავთ შვილის—ნუგზარის ბედნიერებას. ჯანმრთელობა, სიმრავლე და სიხარული ნუ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს.

გულო, მურმან ქურასბედიანები.

ნინელი აღექსანდრეს ასულ ჯიაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. იხარე და იდღეგრძელე მარადჟამს. გისურვებთ ულევ სიხარულს, წინსვლას ცხოვრებაში.

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

იზო გოგოხიძეს, გახვა კოპალიანს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.

თენგიზ ჩაკვეტაძე, პლატონ აბაშიძე ოჯახებით.

ნანა, გოგი, ნაზიკო, აკვსენტი გოლეთიანებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი. კიდევ მრავალი დაძმა შემატებოდეს.

ლოლა, ნანი, მამუკა, თამაზ, ვალერიან ჩიქოვანები.

ჟოზია, იზო, გახვა კოპალიანებს
ნანა, გოგი გოლეთიანებს

გილოცავთ ვაჟიანობას. გაგეზარდოთ ერის სასახელო შვილი.

იაგო ყურაშვილი, ჯიბილო, ბორის, სერგო მიქაძეები.

მეუღლე გრიგოლი, ძმები დავითი, გივი, შვილები ლენა, ლიანა, ზაური, რძლები მარეხი, ასმათი, დიანა, მზიური, სიძეები გრიშა სვანიძე, დათო იობიძე, შვილიშვილები გია, გოჩა, მაია, მარეხი, ზაზა, ხათუნა, გგა, შვილთაშვილები, ძმისშვილები, მახლისშვილები, მულისშვილები ოჯახებით იუწყებიან

ნანა ერისტოს ასული
ნემსწვერიძე-მახარობლიძის

გარდაცვალებას, დაკრძალვა 23 მარტს, შაბათს, 5 საათზე, სოფ. ლაჯანაში.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ლამარა ბერიძეს დედის

ვერა კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ნუგზარ საღინაძე, დესნა სილაგაძე, სერგო ჩაჩხიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ თინა, ჯემალ, ვასო, ბახვა, იზო საღინაძეებს დედის

დოდო კოპალიანი-საღინაძის

გარდაცვალების გამო.

ორბელის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქენია და გურგენ ბახსოლიანებს დედამთილისა და დედის

მატრონა ბახსოლიანის

გარდაცვალების გამო.

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დ ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ნატო გოგოძეს მამიდის

გოგოლა გოგოძე-ავალიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის სამხედრო კომისარიატი, თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბაჭიკო ბახსოლიანს დედის

მატრონა ბახსოლიანის

გარდაცვალების გამო.

დადაში, ზურაბ ჩაკვეტაძეები ოჯახებით იუწყებიან

მარო სილაგაძის

გარდაცვალებას.

ღვირიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ყოფილი მოსწავლე

ავთანდილ უშანგის ძე უჩაძე.

ლია გოლეთიანი, ია მდივანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დოდო კოპალიანი.

მარინე ბურჯალიანი, მარინე სვანიძე, ქეთინო ბერიძე თანაუგრძნობენ იზოლდა, ბახვა საღინაძეებს დედის

დოდო საღინაძის

გარდაცვალების გამო.

მერაბ გოგიძე ოჯახით თანაუგრძნობს ბახვა საღინაძეს დედის

დოდო საღინაძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე მიხეილი, შვილები გივი, რომტომი ყიფიანები, რძლები მაყვალა მიქაძე, ნაზი ცხელაშვილი, ნონა ყურაშვილი, ნიურა გურული, ძაძუ ნემსიწვერიძე, საშა ქლიბაძე, შვილიშვილები ლელა, დათო, ნინო, ძმა ვლადიმერ ხეცურიანი, მახლები ოთარი, მურთაზი, მულები მარო, მერი, ეთერ ყიფიანები, სიძეები, ძმისშვილები, მახლისშვილები მულისშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან ივანეს ასული
ხეცურიანი-ყიფიანი

დაკრძალვა 23 მარტს, შაბათს, 5 საათზე, სოფ. წილამიერში

ცაგერის საშუალო სკოლის 1967 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

გოგი ბორისის ძე ჭაბუკიანის

გარდაცვალებას.

უცხერის ახალგაზრდობა იუწყება, რომ გარდაიცვალა

ავთანდილ უშანგის ძე უჩაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ორბელის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნინო ქენია ბახსოლიანებს დედამთილისა და ბებიის

მატრონა ბახსოლიანის

გარდაცვალების გამო.

რაფიელ, შუქრი კოპალიანები, გრიგოლ, როინ საღინაძეები, ბორის აბაშიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დოდო კოპალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ზაურ ომანაძე ოჯახით თანაუგრძნობს ბახვა საღინაძეს დედის

დოდო კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ციცო, ომარ გურგუჩიანები თანაუგრძნობენ ბახვა საღინაძეს დედის

დოდო კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ეთერი, გოგი, თემურ, ამირან სოსო კოპალიანები, ვიოლა იაშვილი, ხათუნა, გუგავა, გიორგი, ეთიკო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დოდო კოპალიანი.

ბიძინა, შალვა საღინაძეები, ტიტიკო კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დოდო ვასილის ასული საღინაძე

გურამ ხმელიძე, ამზაირ კიზირია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დოდო საღინაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რაიკოოპერატივის, საჭკვების გაერთიანებისა და პურკომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბახვა საღინაძეს დედის

დოდო კოპალიანი-საღინაძის

შვილები თინა, ჯემალ, ვასო, ბახვა, იზო, რძალი ციცო ბენდელიანი, სანდრო ბარამიძე, შვილიშვილები ნინო, ლიანა, გიორგი, ბიბიშვილები, ასმათ-შვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დოდო ვასილის ასული
კოპალიანი-საღინაძე.

დაკრძალვა 23 მარტს, შაბათს, ქ. ცაგერში.

საშენი მასალების სამეურნეობათშორისო საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნუგზარ ბახსოლიანს ბებიის

მატრონა ბახსოლიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა ყურაშვილს ბებიის

ვერა კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

გრიშა ახვლედიანი, რუბენ კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მარიამ გამსახურდიას დედამთილის

მზეხა ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

შიო ახვლედიანი ოჯახით იუწყება

ალათი ლიპარტელიანის

გარდაცვალებას.

კუჭიკო გუგავა, ბონდო ჩანქსელიანი, შუქურა ყუბუსიძე, გოდერძი ყურაშვილი, პაატა ხეცურიანი, მათიკო გუგავა, ბორის მურცხვალაძე, რამაზ, ვახტანგ, ნოდარ ახვლედიანები, ზაურ მანაგაძე, ვახტანგ საღინაძე, გურამ ნემსაძე, დემურ ონიანი, მირმან შკუბულიანი, ვაჟა კვირიკაშვილი თანაუგრძნობენ ბიჭიკო, ოლდა, ენენა ბახსოლიანებს დედისა და დედამთილის

მატრონა ბახსოლიანის

გარდაცვალების გამო.

დედა ეთერი, ძმები ლევანი, დათო, რძალი დარეჯანი, ბებიები ნინა, პაშა, ბიძები ეორა, შიშა უჩაძეები, ოთარ ბახსოლიანი, მამიდა ცაცა, დეიდა ნანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ავთო უშანგის ძე უჩაძე

დაკრძალვა 23 მარტს, შაბათს, სოფ. უცხერში.

ვილგემ, ბიტუ მეშველიანები, მეთოდე, მურთაზ მურცხვალაძეები, ჯუმბერ, ანზორ საღინაძეები, დათო მუშკუდიანი, გურამ კოპალიანი, გივი ასათიანი, ეორა ახვლედიანი, დათო მიქაძე, ნორა ჯანელიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ოლღას და ლენას დედისა და ბებიის

მატრონა ბახსოლიანის

გარდაცვალების გამო.

შოთა საღინაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვერა კოპალიანი.

„ლეჩხუმი“ გამოდის
• სამშაბათს
• ხუთშაბათს
• შაბათს

ჩვენი მისამართი: 384140 ქ. ცაგერი, რუსთაველი ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელ მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების — 22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობო საამქროს —22-23

შეკვეთა №26 ტირაჟი 4720

რედაქტორი
ნოდარ
ნემსაძე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა